

**ქართულ ხალხურ-სასიმილო მრავალმნიშვნელოვან
გაბატონებული მონოტონიკური (არაოქტავური) კილოს
ავთენტის და კლავალური სახეობების შესახებ**

მოხსენება ძირითადად ეთმობა მრავალმნიშვნელოვან ქართულ ხალხურ სიმღერებში დამკვიდრებული მონოტონიკური კილოს ავთენტის ანუ ძირითადი ფორმებისა და ჰიპო-კილოებად წოდებული პლაგალური (დამხმარე) ფორმების ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს.

თავდაპირველად უნდა განვიხილოთ ქართულ ხალხურ-სასიმილო მრავალმნიშვნელოვან გაბატონებული დიატონიკის სახეობები და მათი შესატყვისი ბგერათრიგული სისტემები. დავასახელოთ ბგერათა რიგების სამი ძირითადი კატეგორია: 1. კვინტური დიატონიკა, რომელიც ემყარება ბგერათა განუხრელი წმინდაკვინტური კოორდინაციის პრინციპს (სქემა 1); 2. კვარტული დიატონიკა, რომელსაც საფუძვლად უდევს ბგერათა წმინდაკვარტული კოორდინაციის ასევე განუხრელად დაცული კანონზომიერება (სქემა 2); 3. დიატონიკის ამ სახეობათა შერწყმა-შეჯვარების შედეგად მიღებული შერეული წყობის ბგერათრიგი (სქემა 3). მოყვანილი ბგერათრიგების მკაფიოდ ჩამოყალიბებული სისტემურობა ჩვენ გვესახება მრავალრიცხოვან კილოურ სახეობათა **განზოგადოებული** განხილვის შედეგად მიღებულ საწყისად, რომლის მიხედვით ვანარმოებთ ამ კილოების კლასიფიკაციურ ჯგუფებად გაერთიანებას.

ყოველ ჩამოთვლილ ბგერათრიგულ სისტემათაგანს შეესაბამება ცალკეული ჯგუფი კილოებისა: I. კვინტური დიატონიკის კილოები; II. კვარტული დიატონიკის კილოები; III. შერეული წყობის ორკომპონენტური სისტემები, რომლებშიც გამოხატულებას პოვენს კილოს ფორმირების საგულისხმო თავისებურება: მხედველობაში გვაქვს, ერთი მხრივ, წამყვანი ზედა კომპონენტის სახით მოცემული კილოს ძირითადი ფორმის, ხოლო, მეორე მხრივ, დამხმარე ქვედა კომპონენტის სახით გამოვლენილი ჰიპო-ფორმის ფარგლებში შესაბამისად კვარტული და კვინტური დიატონიკის მკაცრად დაცული სისტემების ერთდროული შეთავსების ამსახველი სტრუქტურული ფენომენი (სქემები 7ა, ბ, გ). ჯერ განვიხილოთ მოყვანილი ბგერათრიგული სისტემები.

კვინტური დიატონიკის ფორმირების პროცესში არსებით მნიშვნელობას იძენს ბგერათა რიგის **ცენტრიდანული** გაშლის კანონზომიერება: ზედა მხარე ამ გაშლისა მიმართულია დიეზებისაკენ, ქვედა მხარე – ბემოლებისაკენ. აქ ერთადერთ სტაბილურ სრულყოფილ კონსონანსად გვევლინება წმინდა კვინტა, ხოლო ბგერათთანმიმდევრობის ცენტრიდანული განვითარების თანახმად ცალკეული ტონებიდან შეიმჩნევა დანარჩენი სრულყოფილი კონსონანსების – წმინდა კვარტისა და წმინდა ოქტავის **გაფართობა**, მათ ნაცვლად გამახვილებული დისონანსების – გადიდებული კვარტის (ტრიტონის) და გადიდებული ოქტავის დამკვიდრება.

კვარტული დიატონიკის კვინტურისაგან განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს ბგერათა **ცენტრისკენული** მიზანსწრაფვა: ზედა მხარე ამ მიზანსწრაფვისა მიმართულია ბემოლებისაკენ, ქვედა მხარე – დიეზებისაკენ. აქ ერთადერთ სტაბილურ სრულყოფილ კონსონანსად გვესახება წმინდა კვარტა, ხოლო ბგერათა ცენტრისკენული მისწრაფების თანახმად ცალკეული ტონებიდან აღინიშნება დანარჩენი სრულყოფილი კონსონანსების – წმინდა

კვინტისა და წმინდა ოქტავის **დაკინროება**, მათ ნაცვლად შემცირებული კვინტისა და შემცირებული ოქტავის ფორმირება. კვინტური დიატონიკის მახასიათებელი დიდი სექტიმების საპირისპიროდ კვარტულში დომინირებს შერბილებული მცირე სექტიმები.

გამოყვით კვინტური დიატონიკის კვარტულთან დაპირისპირების მნიშვნელოვანი ასპექტიაგანი: გადიდებული კვარტისა და მისი შემავსებელი მთელტონური ბგერათთანმიმდევრობის ინტონაციური სიმახვილე მიეკუთვნება კვინტური დიატონიკის ორგანულ ნიშან-თვისებათა რიცხვს. ამის ნათელსაყოფად საკმარისია გადავხედოთ დიატონიკის ამ სახეობის ბგერათა რიგს, რომელშიაც დომინირებს სწორედ მთელი ტონებისაგან შემდგარი ტეტრაქორდების პერიოდული მონაცვლეობა (სქემა 1, შემოხაზულია ზემოდან), ხოლო ბგერათა ნახევარტონური თანაფარდობა ასრულებს ამ ტეტრაქორდების გამყოფი შუალედის როლს (ამავე სქემაზე შემოხაზულია ქვემოდან). სხვა სურათს გვაძლევს კვარტული დიატონიკა, რომლის შერბილებული ინტონაციურობა გულისხმობს სწორედ გადიდებული კვარტის (ტრიტონის) გამახვილებული დისონანსურობის უარყოფას (სქემა 2.). ამიტომ კვარტული დიატონიკის შემადგენელი კილოები ცნობილია აგრეთვე **უტრიტონო** სისტემების სახელწოდებით. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია სანინალმდეგო კილო-ინტონაციური ცნებების – ერთი მხრივ, ტრიტონულობის, ხოლო მეორე მხრივ, უტრიტონობის დაზუსტება. ჩვენს მიერ ტერმინ „ტრიტონის“ გამოყენება გულისხმობს მხოლოდ გადიდებულ კვარტას, რომლის შევსება გვაძლევს ანჰემიტონურ (მარტოოდენ მთელი ტონებისაგან შემდგარ) ბგერათთანმიმდევრობას, რაც არ შეესაბამება ჰემიტონური (ნახევარტონების შემცველი) შემცირებული კვინტის შინაგან წყობას. ამიტომ მართებულად ვერ მივიჩნევთ ფუნქციურად იდენტური ინტერვალური წყვილის სახით გადიდებული კვარტისა და მისი შებრუნების – შემცირებული კვინტის გაერთიანებას, და ტრიტონის, როგორც ამ გაერთიანების აღმნიშვნელი ტერმინის გამოყენების ტრადიციას, გაბატონებულს კლასიკურ მაჟორ-მინორულ სისტემაზე ორიენტირებულ ნაშრომებში.

ყურადღებას ვამახვილებთ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებაზე: ქართულ ხალხურ-სასიმღერო მრავალხმიანობაში ამ ინტერვალების პრინციპული სხვადასხვაგვარობა აყვანილია მკაფიოდ დაპირისპირებული კილოური კატეგორიების გამყოფი ზღვარის მნიშვნელობამდე: შემცირებული კვინტა ახასიათებს ბგერათა წმინდაკვარტული კოორდინაციის პრინციპზე დამყარებულ უტრიტონო კილოებს; მაშინ, როდესაც გადიდებული კვარტის გამახვილებული დისონანსურობა წარმოადგენს წმინდაკვინტური კოორდინაციის კანონზომიერებაზე დამყარებული ტრიტონული კილოების განუყოფელ კუთვნილებას.

ამავე დროს, დიატონიკის ეს ორი საპირისპირო სახეობა ხასიათდება საერთო ნიშან-თვისებით: ორივე მათგანი მიეკუთვნება არაოქტავური წყობის ბგერათსისტემების კატეგორიას. რა თქმა უნდა, გადიდებული ან შემცირებული ოქტავის დისონანსურობის გამომხატველ ბგერათა თვისობრივი სხვადასხვაგვარობა, რომელიც ახასიათებს შესაბამისად კვინტურსა და კვარტულ დიატონიკას, ინვევს მათი არაოქტავური აგებულების გამახვილებულ აღქმას. ამავე დროს, კილოს ფორმირებისადმი ფუნქციური (და არა აკუსტიკურ-ინტერვალური) პოზიციიდან მიდგომა ცხადყოფს, რომ ორივე ბგერათარიგულ სისტემათაგანში დაცულია დიატონიკის ცნების განმსაზღვრელი მთავარი წინაპირობა: აქ უკვე ყოველი ტონთაგანი ასრულებს ძირითადი ანუ დიატონური საფეხურის ფუნქციას. მათ რიცხვს მიეკუთვნება შესაბამისად, კვინტური და კვარტული დიატონიკის ბგერათარიგულ სქემებზე ასახული $es-e'$ გადიდებული ოქტავი-

სა და e-es¹ შემცირებული ოქტავის შემადგენელი ბგერები. უწინარეს ყოვლისა, ეს ითქმის კვინტური დიატონიკის კუთვნილი ორკომპონენტური კილოური სისტემის – F ჰიპომიქსოლიდიურ-იონიურის ქვედაშემავალ ტონ მიბემოლზე, რომელიც წარმოადგენს სრულიად დამოუკიდებელ საფეხურს, და არა წამყვანი ზედა კომპონენტის – იონიური კილოს სეპტიმის – ტონ მი-ს ქრომატულად სახეშეცვლილ (დადაბლებულ) ვარიანტს (სქემა 5ა). დიატონიკის ანალოგიურ გამოხატულებად მივიჩნევთ ბგერათა წმინდაკვარტული კოორდინაციის პრინციპზე დამყარებული F-მიქსოლიდიურ-ეოლიური კილოს ფარგლებში a-as შემცირებული ოქტავის შემადგენელი ბგერების ურთიერთდამოკიდებულებას. აქ ასევე არ იწვევს ეჭვს კილოს დეციმური ტონის – I ოქტავის ლა-ბემოლის დიატონიური ბუნება, რომელიც ამასთან ერთად გვესახება კვინტურ საყრდენ დო-ბგერაზე დაშენებული ეოლიური კომპონენტის დაბალ სექსტად, და არა ფუძისეული მიქსოლიდიური კომპონენტის ტერციის – მცირე ოქტავის ტონ ლა-ს ქრომატულ სახესხვაობად (სქემა 6ზ).

განმარტებას ითხოვს მესამე სახეობის – შერეული წყობის ბგერათა რიგის ფორმირება, რომლის მთავარ წინაპირობად გვესახება პირველი სახეობის – კვინტური დიატონიკის გამახვილებული დისონანსურობის შერბილებისაკენ მიმართული ტენდენციის არსებობა. ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გარმოებას: ორკომპონენტური რთულ-შედგენილ სისტემებში ბგერათა წმინდაკვინტური კოორდინაციის პრინციპი ფუნდამენტურ მნიშვნელობას მტკიცედ ინარჩუნებს ჰიპოფორმის სახით მოცემული ქვედა კომპონენტის ჩარჩოებში. მაგრამ ამ უკანასკნელის ფარგლებს გარეთ გასვლისას აღნიშნულ პრინციპს, რიგ შემთხვევებში, ძალა ეკარგება. იგი წინააღმდეგობაში ვარდება წამყვანი ზედა ხმის პარტიაში უტრიტონო ინტონაციის შერბილებული ჟღერადობისადმი მისწრაფებასთან, რაც იწვევს კვინტური დიატონიკის ამსახველ სქემაზე ნაჩვენები b-e¹ გადიდებული კვარტის მწვერვალის ანუ b-c¹-d¹-e¹ მთელტონური რიგის ზედა კიდური e¹ ტონის დადაბლებას, მის ნაცვლად es¹-ის დამკვიდრებას, რომელიც თავდაპირველად გამოხატულებას პოვებს კვარტული დიატონიკის ამსახველ სქემაზე. ირკვევა ფრიად საინტერესო გარემოება: საკვანძო მნიშვნელობის ტონ e-ს es-ით შენაცვლება სრულიად საკმარისია იმისათვის, რათა გამოიწვიოს კვინტური დიატონიკის რთულ-შედგენილი კილოს ზედა კომპონენტის ფარგლებში საპირისპირო კვარტული დიატონიკის შემადგენელი სისტემის ფორმირება.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ პირველი ოქტავის ტონი e შეთავსებით ასრულებს კვინტური დიატონიკის მახასიათებელი დისონანსების – b-e გადიდებული კვარტის, es-e გადიდებული ოქტავის, f-e დიდი სეპტიმის მწვერვალის როლებს. ამიტომ ამ ერთადერთ ალტერაციულ ცვლილებას, გამოხატულს e ტონის დადაბლების სახით, თან ახლავს მთელი კომპლექსი ერთობ მნიშვნელოვანი ინტონაციური სიახლეებისა: დასახელებული მკვეთრი დისონანსების ნაცვლად აღინიშნება შერბილებული ინტერვალების – შესაბამისად b-es წმინდა კვარტის, es-es წმინდა ოქტავის, f-es მცირე სეპტიმის და, გარდა ამისა, კვარტული დიატონიკის მახასიათებელი კიდევ ერთი ინტერვალის – a-es შემცირებული კვინტის ფორმირება (სქემა 3.). საბოლოო ჯამში ამას მოჰყვება წამყვანი ზედა კომპონენტის ფარგლებში გამოვლენილი კილოს ძირითადი ფორმის სახით ახლად შექმნილი კვარტული დიატონიკის, ხოლო დამხმარე ქვედა კომპონენტის ფარგლებში წარმოდგენილი ჰიპო-ფორმის სახით უცვლელად დატოვებული კვინტური დიატონიკის სტრუქტურული პრინციპების შეხამება, რაც იწვევს თვითმყოფი შერეული წყობის რთულ-შედგენილი სისტემების დამკვიდრებას. ამ უკანასკნელთა ცალკე კატეგორიად გაერთიანებული ანალოგების არსებობა

არ აღინიშნება, რამდენადაც ვიცით, არც ერთ სხვა სასიმღერო კულტურათა-განში.

გადავდივართ უშუალოდ ქართულ ხალხურ-სასიმღერო კილოების დახასიათებაზე.

შევეხთ ამ კილოების ფორმირების ისტორიას. იგი ემყარება არა უმეტეს კვინტური ან კვარტული მოცულობის მელოდიური საქცევების შეკავშირების ლოგიკას, რამაც გამოიწვია ბგერათა რიგის ცალკეული რგოლების სახით ამ საქცევთა კრისტალიზაცია და საბოლოო ჯამში მრავალრგოლიან მონოტონიკურ სისტემებში აღნიშნული რგოლების გაერთიანება.

რას წარმოადგენს ყოველი ასეთი რგოლთაგანი? იგი ქმნის საფეხურთა დაჯგუფების ავტონომიურ სფეროს, რომელსაც განაგებს ამ სფეროს ფარგლებში გაბატონებული საყრდენი ტონი. კილოს საყრდენების განტოტვილი სისტემა, გარდა მთავარი (ტონიკური) საყრდენისა, მოიცავს აგრეთვე პერიფერიულ კილო-მელოდიურ ცენტრებს – სამხმიანი სიმღერის ზედა წყვილ ხმაში განლაგებულ კვარტულ, კვინტურ, ოქტავურ ტონებს. მათ რიცხვს ემატება კვინტურ საყრდენზე დაშენებული, ამ საყრდენის მიმართ ასევე კვინტურ დამოკიდებულებაში მყოფი კილოს ნონა – განვითარებულ გურულ სიმღერებში მაღალი ხმის მელოდიური დაღმასვლების „მწვერვალ-სათავე“ და, ამავე დროს, საწყისი ღერძისეული ვერტიკალის – კვინტონაკორდის ზედა კიდური ტონი (მაგ. 1).

აღსანიშნავია ქართულ ხალხურ-სასიმღერო მრავალხმიანობაში დამკვიდრებული ლინეარულ-მელოდიური სპეციფიკა კილოს საფეხურთა შეუღლები-სა. აქ გაბატონებული პოლიმელოდიური წყობის პირობებში წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება ინტონაციურ-ინტერვალურ მხარეს ტონიკისა და დამხმარე საფეხურების ურთიერთდამოკიდებულებისა, იმ წმინდა „მელოდიურ გზას“, რომელსაც გაივლის კილოს მთავარი ან ადგილობრივი ცენტრისაკენ მიზანსწრაფვის პროცესში ესა თუ ის მერყევი ტონი. ამას ემატება არანაკლებ საგულისხმო ფაქტორი – საფეხურთა მიზიდულობის *მიმართულება*, რომელიც განაპირობებს ხშირად ზედა და ქვედა დამხმარე საფეხურების გარმოცვაში მყოფი ტონიკური ცენტრისაკენ ამ საფეხურთა დაღმავალი ან, პირუკუ, აღმავალი მისწრაფების მკვეთრად განსხვავებული კილო-დინამიკური ტენდენციების არსებობას. აქედან გამომდინარე, გამოგვაქვს დასკვნა: ტონიკის მიმართ დაკავებული ინტერვალური პოზიცია, რომლითაც გამოირჩევა ესა თუ ის დამხმარე ტონი, განსაზღვრავს ყოველი მათგანის კილოურ ფუნქციას.

ამისდა მიხედვით იქმნება, ერთი მხრივ, ტონიკიდან ზევით მდებარე, ხოლო, მეორე მხრივ, ქვევით მდებარე საფეხურების ფუნქციური გამიჯვნის აუცილებლობა. აღსანიშნავია, რომ ტონიკიდან ქვევით მდებარე მონაკვეთი ჩვეულებრივად არ სცილდება ქვედა კვინტური ტონის ზღვარს. სამაგიეროდ, ფუნქციურად დამოუკიდებელი საფეხურების აღმავალი მატება ხშირად სცილდება ზედა ოქტავური ტონის ფარგლებს, მოიცავს აგრეთვე კილოს ნონას, დეციმას, ზოგჯერ უნდეციმასა და დუოდეციმას.

მოკლედ ჰარმონიული ვერტიკალის შესახებ. იგი არის ნაყოფი ხმათა ურთიერთმეთანხმებული ლინეარულ-მელოდიური განვითარებისა, წარმოადგენს ამ განვითარების წიაღში ჩასახულ მეორად, რეზულტატურ მოვლენას, და არა კილოს წინასწარ ჩაფიქრებულ ფუნქციურ ერთეულს, როგორც ამას ადგილი აქვს მაჟორ-მინორულ სისტემაში.

ორიოდ სიტყვა მელოდიური საწყისის პრიმატის ნიშნით ჩამოყალიბებული ქართული ხალხურ-სასიმღერო კილოების ღირსშესანიშნავ თავისებურება-

ზე: ამ კილოებზე დამყარებულ მრავალხმიანობაში დომინირებს თანაჟღერადობათა **სეკუნდურ-მელოდიური** შეერთების წესი. უახლოესი საუკუნეების ევროპული კილო-ჰარმონიული აზროვნების ძირითადი კანონზომიერება – აკორდთა ავთენტიკური (აღმავალკვარტული ან დაღმავალკვინტური) შეერთება საერთოდ არ არის დამახასიათებელი ქართული ხალხური მრავალხმიანი სიმღერებისათვის; უფრო მეტი: იგი მიეკუთვნება ამ სიმღერების მიმართ სტილისტურად შეუსაბამო მოვლენების რიცხვს (თუ, რა თქმა უნდა, არ მივიღებთ მხედველობაში ქალაქურ სასიმღერო ფოლკლორს, რომელმაც განიცადა ევროპული მუსიკის ამკარა ზეგავლენა). ჩვენი დაკვირვებით, ეს გამონვეულია პოლიმელოდიურ ფაქტურულ ქსოვილში ბგერათა შემაკავშირებელი **ენერგეტიკული** სანყისის უდავო პრიორიტეტით. ეს სანყისი გულისხმობს ერთი ტონიდან მეორეში უპირატესად სეკუნდურ-მელოდიური გადაზრდის ინტენსიურობას, რომელიც არ უტოვებს ადგილს, თუნდაც კადანსებში, თანაჟღერადობათა შეერთების ავთენტიკურ ტიპს.

გარდა ამისა, აქ აღინიშნება აგრეთვე თანაჟღერადობათა ტერციული, უფრო იშვიათად დაღმავალ-კვარტული (პლაგალური) შეუღლება (როგორც ამას ადგილი აქვს ქართლ-კახური სიმღერების მახასიათებელ „რთულ მოდულაციურ კვარტულ კადანსში“) – ყველა ის ფორმები, რომლებისთვისაც უცხოა კლასიკური მაჟორ-მინორული სისტემის მახასიათებელ აკორდთა დომინანტურ-ტონიკური მიზანსწრაფვის დინამიკა.

გადავიდეთ ცენტრალურ საკითხზე ჩვენი მოხსენებისა, რომელიც ეხება მრავალხმიანი ქართული ხალხურ-სასიმღერო კილოებისათვის სახელწოდებების მინიჭების, მათი სტრუქტურული კანონზომიერებების დადგენისა და კლასიფიკაციის დღემდე გადაუწყვეტელ პრობლემატიკას. ამ საკითხებში ჩვენ ვემყარებით ტიპოლოგიურად მსგავსი ძველებური (საეკლესიო) კილოების გლარეანისეულ ნომენკლატურას, ვიზიარებთ წამყვან კრიტერიუმს ამ კილოების სისტემატიზაციისა. მხედველობაში გვაქვს დამხმარე საფეხურების მიმართ ტონიკური ბგერის **ფარდობითი მდებარეობის** თვალსაჩინო ფაქტორი, რომლის მიხედვით ყალიბდება მონოტონიკური ხალხურ-სასიმღერო კილოების ორი სახეობა: 1. კილოს ე. წ. **ძირითადი ფორმები**. ისინი განისაზღვრებიან ტონიკის მდებარეობით ბგერათა რიგის ქვედა კიდურ ნერტილში და, შესაბამისად, ხასიათდებიან დამხმარე ბგერა-საფეხურების **დაღმავალი** მიზიდულობის კილო-დინამიკური ტენდენციით. 2. **ჰიპო-ფორმები**, რომლებიც ყალიბდება დანარჩენ საფეხურებს შორის ტონიკის ამა თუ იმ შუალედური მდებარეობის ნიშნით; უფრო ზუსტად: ეს ფორმები ტონიკას შეიცავს ქვედა შემავალი რგოლისა და ცენტრალური (ტონიკური) რგოლის გადაბმის ნერტილში. ამრიგად, ჰიპო-კილოს ტონიკური ცენტრი იმყოფება, ერთი მხრივ, დაღმავალი მიზიდულობის ზედა დამხმარე საფეხურების, ხოლო, მეორე მხრივ, აღმავალი მიზიდულობის ქვედა დამხმარე საფეხურების გარემოცვაში. ეს ცხადყოფს, როგორც უკვე ითქვა, ამ ორი საპირისპირო მიმართულების შემქმნელი საფეხურების **ფუნქციური გამიჯვნის** აუცილებლობას. ტონიკის გარშემო ასეთი სეკუნდურ-მელოდიური მიზიდულობის არეების წარმოქმნა განსაკუთრებით მყარ ხასიათს ანიჭებს ამ უკანასკნელის განმტკიცებას. უწინარეს ყოვლისა, ეს ითქმის მუხლის გაშლის საკადანსო ეტაპებზე უნისონური ფორმით მოცემულ დასკვნით ტონიკაში ხმათა თავმოყრის მომენტებზე, რომელთა ხაზგასმას ხელს უწყობს კიდურ ხმათა საპირისპირო (შემხვედური) მოძრაობის დინამიკა, დამახასიათებელი სწორედ მრავალხმიან ქართულ ხალხურ სიმღერებში დანერგული ჰიპო-ფორმებისათვის (მაგ. 2, 3).

გამოვყოთ კილოს ძირითადი ფორმებიდან ჰიპო-ფორმების წარმომავლობის საკითხი. ძველებური კილოების ერთსახელიან დორიულად და ჰიპოდორიულად, ფრიგიულად და ჰიპოფრიგიულად, ლიდიურად და ჰიპოლიდიურად და ა. შ. დანყვილების წინაპირობად გვესახება მათი შემაკავშირებელი „წმინდა დიატონიკისა“ და ტონიკური ცენტრების ერთობლიობა. ეს ნიშნავს, რომ ყოველ ჰიპო-ფორმათაგანში შენარჩუნებულია ერთსახელიანი ძირითადი ფორმის მახასიათებელი მაჟორული ან მინორული მიხრილობა, გამოხატული ტონიკასთან III საფეხურის მეტრულად ხაზგასმული თანაფარდობით.

ყურადღებას ვამახვილებთ პრინციპულ გარემოებაზე: კილოს ძირითად და ჰიპო-ფორმებს შორის არსებული გენეტიკური კავშირის საფუძველზე ხორციელდება მათი გაერთიანება ხალხურ-სასიმღერო სისტემების ორკომპონენტთან ჩარჩოებში, რომელთა ნამყვანი ზედა კომპონენტის სახით მოცემულია ძირითადი ფორმები, ხოლო დამხმარე ქვედა კომპონენტის სახით – ჰიპო-ფორმები.

გადავიდეთ ქართული ხალხურ-სასიმღერო მრავალხმიანობის კილოების კლასიფიკაციის საკითხებზე.

კვინტური (ტრიტონული) დიატონიკის კილოთა კატეგორიას მიეკუთვნება იონიური, დორიული, ფრიგიული, ლიდიური აგრეთვე ჰიპოლიდიური, ჰიპომიქსოლიდიური, ჰიპოეოლიური, ჰიპოლოკრიული სისტემები (სქემები 4ა,ბ,გ, და ა. შ.). ქართულ ხალხურ-სასიმღერო მრავალხმიანობაში გამოყენებას პოვებს თითქმის ყოველი მათგანი. გამონაკლისს წარმოადგენს ლიდიური კილო, რომელიც დამოუკიდებელი სახით აქ საერთოდ არ გვხვდება. სამაგიეროდ, ნამყვანი ელემენტის სახით ლიდიური ინტონაცია განაგებს დასახელებულ ჰიპოლიდიურ კილოს (სქემა 4ე).

კვინტური დიატონიკის ფარგლებში კილოს ძირითადი და ჰიპო-ფორმების შერწყმა გვაძლევს აქ დამკვიდრებული ორკომპონენტის სისტემების ოთხ პარალელურ სახეობას, მაგალითისათვის აღებულ F-ჰიპომიქსოლიდიურ-იონიურ, G-ჰიპოეოლიურ-დორიულ, a-ჰიპოლოკრიულ-ფრიგიულ, B-ჰიპოიონიურ-ლიდიურ კილოებს (სქემები 5ა,ბ,გ,დ). უკანასკნელი კილოთაგანის ზედა კომპონენტის როლს ასრულებს ლიდიური კილო, ხოლო ქვედა კომპონენტში – ჰიპო-იონიურში გაუქმებულია ზედა კვარტული ტონი es^1 , რომლის ნაცვლად ძალაში შედის ლიდიური კომპონენტის მახასიათებელი მაღალი მეოთხე საფეხური – ტონი e^1 (სქემა 5დ).

შემდეგი სახეობის – კვარტული (უტრიტონო) დიატონიკის კილოებს მიეკუთვნება მიქსოლიდიური, ეოლიური, ლოკრიული, ჰიპოიონიური, ჰიპოდორიული, ჰიპოფრიგიული. უკანასკნელი განიხილება ოდნავ შეკვეცილი სახით – ზედაოქტავური ტონის გარეშე (სქემები 6ა,ბ,გ და ა. შ.). დიატონიკის ამ სახეობის კილოებიდან ქართულ ხალხურ-სასიმღერო მრავალხმიანობაში უპირატეს გამოყენებას პოვებს ძირითადი ფორმები. ეს გამოწვეულია აქ წარმოდგენილ ჰიპო-ფორმებში საფეხურთა წმინდა კვინტური კოორდინაციის პრინციპის დომინირების ფაქტით, რომელიც წინ ეღობება საპირისპირო წმინდა კვარტული კოორდინაციის პრინციპზე დამყარებული ჰიპო-ფორმების – ზემოაღნიშნული ჰიპოდორიულის, ჰიპოიონიურის, ჰიპოფრიგიულის თავისუფალ გამოყენებას, ორკომპონენტის კილოების ფარგლებში ამავე კატეგორიის ძირითად ფორმებთან მათ შერწყმა-შეჯვარებას.

მრავალხმიან ქართულ ხალხურ სიმღერებში ყალიბდება შერეული წყობის კილოების სამი პარალელური სახეობა – მაგალითისათვის აღებული f-ჰიპომიქსოლიდიურ-მიქსოლიდიური, g-ჰიპოეოლიურ-ეოლიური, a-ჰიპოლოკრიულ-ლოკრიული სისტემები, რომელთა ზედა კომპონენტების ფარგლებში შე-

საბამისად წარმოდგენილია კვარტული დიატონიკის კილოები – მიქსოლიდიური, ეოლიური, ლოკრიული, ხოლო ქვედა კომპონენტების ფარგლებში – კვინტური დიატონიკის კილოები: ჰიპომიქსოლიდიური, ჰიპოეოლიური, ჰიპოლოკრიული.

დასასრულს, მოვიყვანოთ მაგალითები ხალხურ-სასიმღერო პრაქტიკიდან. მოგვყავს ზოგიერთი მათგანი.

მეგრულ ლირიკულ სიმღერა „შოუ ნანას“ ერთ-ერთ კუბლეთაგანის დასასრულს კონცენტრირებული სახით არის წარმოდგენილი კვინტური დიატონიკის რთულ-შედგენილი კილოების ორი პარალელური სახეობა – ჰიპომიქსოლიდიურ-იონიური და ჰიპოლიდიური. კუბლეთს აგვირგვინებს აღმავალკვარტული მამოდულირებელი კადანსი F-ჰიპომიქსოლიდიურ-იონიურიდან B-ჰიპოლიდიურში (მაგ. 2. ტაქტები 4-5).

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნაწყვეტი კიდეც ერთი მეგრული ლირიკული სიმღერიდან „ჩქიმ ტორონჯი“ (მაგ. 3.). მხედველობაში გვაქვს ერთ-ერთ კუბლეთაგანში გამოვლენილი აღმავალტერციული მამოდულირებელი კადანსი, რომელიც ემყარება კვინტური დიატონიკის ორ რთულ-შედგენილ სისტემას – სანყის ორტაქტეულში – F-ჰიპომიქსოლიდიურ-იონიურს, დასკვნით ორტაქტეულში – a-ჰიპოლოკრიულ-ფრიგიულს. კადანსი სათავეს იღებს მძიმე მესამე ტაქტის ძლიერ დროზე es-e' გადიდებული ოქტავის შემავსებელი es-b-e' თანაჟღერადობიდან. უნდა ითქვას, რომ ხალხური ვოკალური მრავალხმიანობის პირობებში კვინტური დიატონიკის კილოების მახასიათებელ გადიდებულ ოქტავაზე ორიენტირებული ეს ვერტიკალი ოდანავადაც არ ახდენს ესთეტიკურად არასასურველი მჭახე ჟღერადობის შთაბეჭდილებას.

ქართულ სუფრულ სიმღერაში „ლილინი“ რელიეფურად არის დაპირისპირებული კვინტური დიატონიკის კუთვნილი G-ჰიპოეოლიური-დორიული სისტემის კილო-ინტონაციური სფეროების მახასიათებელი ტონები – ზედა ხმაში დორიული სექსტა (e'), ხოლო ბანებში – ჰიპოეოლიური ქვედატერციული ტონი (es), რომელთა თანაფარდობა ასევე გვაძლევს გადიდებულ ოქტავას (es-e') (მაგ. 4).

შერეული წყობის ჰიპომიქსოლიდიურ-მიქსოლიდიური სისტემის ნიმუშად მოგვყავს ნაწყვეტი გურული „შემოქმედურადან“, რომელიც წარმოადგენს შრომის სიმღერა „ნადურის“ ერთ-ერთ ქვესახეობას (მაგ. 5). აქ ამ კილოს ფორმირება წარმოებს კვინტური დიატონიკის კუთვნილი ჰიპომიქსოლიდიურ-იონიური სისტემიდან გამომდინარე კილოური მოდულაციის მეშვეობით. იგი ხორციელდება ბანში მოცემულ უცვლელ F ტონიკაზე დაშენებულ კრიმანჭულის პარტიკაში, რომელშიაც ადგილი აქვს იონიური „მაღალი“ სეპტიმის გარდასახვას მიქსოლიდიურ „დაბალ“ სეპტიმად, ანუ პირველი ოქტავის ტონ მი-ს ნაცვლად მი-ბემოლის დამკვიდრებას. ამას თან ახლავს ზედა წყვილ ხმაში განაწილებული გადიდებული კვარტის (ტრიტონის) შემავსებელი მთელტონური e'-d'-c'-b ბგერათთანმმდევრობის ნაცვლად შერბილებული მიქსოლიდიური მიხრილობის მახასიათებელი ჰემიტონური es'-d'-c'-b ბგერათა რიგის ფორმირება (ტაქტები 3-4).

აი, ის მცირედი, რისი თქმაც შეიძლება ქართული ხალხურ-სასიმღერო მრავალხმიანობის კილოური სისტემების შესახებ.

დამონმებული ლიტერატურა

გოგოტიშვილი, ვლადიმერ (1983). *ქართულ ხალხურ მრავალხმიანობაში მელოდიური კილოების ერთი სისტემის შესახებ* (კვინტური დიატონიკის საკითხისათვის) კრებულში: ნურნუმია, რუსუდან (პ/მ. რედ.). *ქართული ხალხური მუსიკის კილო, მელოდიკა, რიტმი*. სამეცნიერო შრომები. გვ. 193-224. თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. (რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე).

გოგოტიშვილი, ვლადიმერ (2000). *მეგრული ლირიკული სიმღერის კილო-ინტონაციური წყობის თავისებურებების შესახებ*. კრებულში: ნურნუმია, რუსუდან (პ/მ. რედ.) *ხალხური მრავალხმიანობის პრობლემები*. საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებები გვ. 66-97. თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. (რეზიუმე ინგლისურ ენაზე)

ჟორდანიას, მინდია. (1971). *ლოკრიული კილო ქართულ ხალხურ მრავალხმიანობაში*. ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება, 7:49-53; 8:52-58.

Éóø í àð, à, Õðèñî ò òð (1958). *Áî ï ðî ñû èñò ï ðèè è ò àí ðèè Áðî ýî ñèí é ì ï ï ï àè-àñèí é ì óçû èè. Èàí èí ðàà.*

Ûè èè, ð ðèé (1966). *Ó-àí èà ï ààð ï ï èè. Ì ï ñèàà: Ì óçû èà.*

Èòðç Ýðí ñò (1931). *Í ñí ï àú èèí ààðí ï àí èí ò ðàí óí èò à. Ì ï ñèàà: Áñ. ì óç. èçààò*

სქემაზი

1. კვინტური დიატონიკა 2. კვარტული დიატონიკა 3. შერეული წყობის ბგერათა რიგი

ბად. 8 შემც. 8 კვარტული დიატონიკა

ბად. 4 შემც. 5 კვინტური დიატონიკა

შემც. 2 შემც. 2 შემც. 3 შემც. 7

დ. 7 შემც. 7

4. კვინტური დიატონიკის კილოები

ა) c - იონიური ბ) d - დორიული გ) e - ფრიგიული დ) F - ლიდიური

ე) F - მიქსოლიდიური ვ) G - მიქსოლიდიური ზ) a - პიპოელიური თ) h - მიქსოლიდიური

5. კვინტური დიატონიკის ორკომპონენტიანი სისტემები

ა) F - მიქსოლიდიურ-იონიური ბ) g - პიპოელიურ-დორიული გ) a - მიქსოლიდიურ-ფრიგიული დ) B - მიქსოლიდიურ-ლიდიური

იონიური დორიული ფრიგიული ლიდიური

მიქსოლიდიური მიქსოლიდიური მიქსოლიდიური მიქსოლიდიური

6. კვარტული დიატონიკის კილოები

ა) F - მიქსოლიდიური ბ) g - ეოლიური გ) a - ლოკრიული

დ) B - მიქსოლიდიური ე) c - მიქსოლიდიური ვ) d - მიქსოლიდიური ზ) F - მიქსოლიდიურ-ეოლიური

მიქსოლიდიური

7. შერეული წყობის კილოები

ა) F - მიქსოლიდიურ-მიქსოლიდიური ბ) g - მიქსოლიდიურ-ეოლიური გ) a - მიქსოლიდიურ-ლოკრიული

მიქსოლიდიური ეოლიური ლოკრიული

მიქსოლიდიური მიქსოლიდიური მიქსოლიდიური

მაგალითი 1. **სადღეგრძელო**. ორგზის აცცენტირებული კილოს ნონა საყრდენი ტონის როლში (შემოფარგლულია ნრეხაზებით)

EXAMPLE 1. **Sadghegrdzelo** (a table song for health and longevity). Twice accented nona of the mode in the role of auxiliary supporting tone (surrounded korth the circles).

მაგალითი 2. **შოუ ნანა**. ტაქტები 4-5: მამოდულირებელი კადანსი – F-ჰიპომიქსოლიდიური-იონიური კილოდან – B-ჰიპოლიდიურში

EXAMPLE 2. **Show Nana**. bars 4-5: modulating cadence from the starting F-hypomixdian-ianian mode to the final B-hypolidian.

მაგალითი 3. **ჩქიმ ტორონჯი**. ტაქტები 3-4: მამოდულირებელი კადანსი – F-ჰიპომიქსოლიდიური-იონიური კილოდან a-ჰიპოლოკრიულ-ფრიგიულში

EXAMPLE 3. **Chkim Toronji**. Bars 3-4: modulating cadence from F-hypomixsolydian-Ionian mode to a hypolocrian-Phrigian.

მაგალითი 4. ლილინი. ორკომპონენტური გ-ჰიპოეოლიურ-დორიული კილო. დორიული სექსტის (e¹) და ჰიპოეოლიური ქვედა ტერციული ტონის (es) შეხამება (es-e¹)

EXAMPLE 4. **Ghighini**. g-hypoaolian-Doric mode. Combination of Doric sixth (e¹) and the thirdtone (es) of Hypoaolian mode (es-e¹).

მაგალითი 5. შემოქმედურა. კილოური მოდულაცია კვინტური დიატონიკის კუთვნილი F-ჰიპომიქსოლიდიურ-იონიური კილოდან შერეული ნყოზის მქონე F-ჰიპომიქსოლიდიურ-მიქსოლიდიურში, რომელიც ხორციელდება ბანისეულ F-ტონიკაზე დაშენებული კრიმანჭულის პარტიაში

EXAMPLE 5. **Shemokmedura**. The modulation from F-hypomixolydian-Ionian belonging to fifth diatonic to the merged order F hypomixolydian-Mixolydian mode occurs in the Krimanchuli port built on the F tonic in the bass.